



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27221187

თარიღი:28/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24

28 აპრილი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს „საქართველოს ფოსტას“ (ს/კ 203836233) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **2 (ორი) წლის ვადით** გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული:

ა) ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 3 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.36.333). საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **3 000 (სამი ათასი) ლარით;**

ბ) ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 3 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.37.272). საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **3 000 (სამი ათასი) ლარით;**

გ) ქ. თელავში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.37.194). საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **3 000 (სამი ათასი) ლარით.**

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე